საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საპროექტო წინადადებების შერჩევა

სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტებისათვის

2022

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პრინციპები

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ინსტრუქციას მუნიციპალიტეტებისათვის, რომლითაც განსაზღვრულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურები, რომელთა განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოები.

სახელმძღვანელო ეფუძნება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ (შემდგომში - კანონი) XI თავს და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებას „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - დადგენილება). სახელმძღვანელოს შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა 2007-2022 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტები და 2015-2018 წლებში პოლონეთის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების ცალკეულ მუნიციპალიტეტებში პილოტირების გამოცდილება.

2019 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) პროექტების შერჩევის პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ

პროგრამის ფარგლებში პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, რისთვისაც დასახლებებში იმართება დასახლების საერთო კრებების სხდომები ან რეგისტრირებულ ამომრჩეველთან კონსულტაციები (შემდგომში - კონსულტაცია), სადაც მოქალაქეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტის შერჩევის თაობაზე.

დადგენილების მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტის მერი ერთვება მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პროექტების შესარჩევად ჩატარებული კენჭისყრის დროს ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი და თანაბარი რაოდენობის ხმა, საუკეთესო პროექტებიდან რომელიმეს შერჩევის მიზნით.

მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს დასახლების საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებს.

მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა

ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. საამისოდ, დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების მე-4 მუხლის შესაბამისად, პროგრამა იძლევა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობას

მაგრამ არაუმეტეს დასახლებისათვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის 200%-სა. ასევე, მისასალმებელია, თუ თანადაფინანსების მოპოვება მოხერხდება დონორებისგან/კერძო სექტორიდან ან თავად მოსახლეობა შეიტანს შრომით თუ სხვა სახის წვლილს განსახორციელებელ სამუშაოებში.

მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა

პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ეძლევათ მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ინფორმაციის თავისუფლად მიღების, საპროექტო წინადადებების შემუშავების, წარდგენის, მათ შესახებ ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობის უზრუნველყოფის სახით. მუნიციპალიტეტი ყველა შესაძლო საშუალებით ახდენს პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, დასახლების საერთო კრებებზე/კონსულტაციებისას გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პროცედურების ორგანიზებასა და მათი სხდომების ჩატარების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

პროცესის გამჭვირვალობა და ინკლუზიური მიდგომა

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი ყველა ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს გაჭვირვალედ, მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის, მათ შორის. უმცირესობათა ან/და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდიზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელება. დასახლებების საერთო კრებები/კონსულტაციები, მათზე კენჭისყრისა და შედეგების დათვლის პროცედურები ღია და საჯარო უნდა იყოს და მათზე შეუფერხებელი დასწრების, ჩართულობის, დაკვირვებისა და აუდიო-ვიდეო ჩაწერის პირობები უნდა შეექმნას ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

2. მოსამზადებელი სამუშაოები

პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მუნიციპალიტეტის მერი ქმნის სამუშაო ჯგუფს და ანაწილებს ფუნქციებს სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის. სამუშაო ჯგუფის შექმნა და ფუნქციონირება შეიძლება მოხდეს მერის ზეპირი დავალებით ან გაფორმდეს მერის წერილობითი ბრძანებით, კანონის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სამუშაო ჯგუფის სარეკომენდაციო შემადგენლობა და მისი წევრების ფუნქციები შემდეგია:

N	სამუშაო ჯგუფის წევრის თანამდებობა	ფუნქციები
1	მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/მოადგილე	პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე (წინასწარი ზეპირი ანდ წერილობითი თანხმობის შემთხვევაში)	საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
3	მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე	მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
4	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და დასახლების საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით
5	ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
6	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი	მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელის გვერდის (მაგ.: Facebook-გვერდის), ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის

7	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების შესახებ წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა
8	იურიდიული სამსახურის უფროსი	მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, დასახლების საერთო კრებების კონსულტაციების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა

პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყების შემდეგ, რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფი შეიკრიბოს ყოველკვირეულად, საჭიროებისას - უფრო ხშირად. სამუშაო ჯგუფის მოწვევას ახდენს მერის პირველი მოადგილე/მოადგილე.

სამუშაო ჯგუფის წევრები მსჯელობენ და განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასახლების საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების ეფექტურად გამოყენების გზებისა და პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, ახდენენ წინამდებარე სახელმძღვანელოს გაცნობას მერის წარმომადგენლებისათვის, საკრებულოს წევრებისა და საზოგადოებისათვის.

პროცესის დაგეგმვისას და მოსახლეობის ინფორმირებისას სამუშაო ჯგუფის წევრები კონკრეტულ დასახლებებში განსახორციელებლად შესარჩევი პროექტის *საორიენტაციო თანხად* ითვალისწინებენ დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით დასახლებისათვის (გარდა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებისა) გამოყოფილი თანხის გაანგარიშების შემდეგ პრინციპს:

ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;

ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;

გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;

დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.

დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 1-ლი მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად.

2019 წლიდან, პროგრამის ფარგლებში 2019 და შემდეგ წლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის შემთხვევაში, ამავე დასახლებაში შესაბამის წელს პროექტის შერჩევა, თანხის გამოყოფა და თანადაფინანსება ხორციელდება ამ დასახლებისთვის მიმდინარე წელს გამოყოფილი და წინა წლებში აუთვისებელი თანხების ჯამის ფარგლებში.

3. დასახლების საერთო კრების სხდომების და კონსულტაციების ინიცირება

პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების სხდომებისა და კონსულტაციების ინიცირება ხდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მერის ინიციატივის გამოხატვა ხდება მისი ბრძანების გამოცემით, რომელშიც მიეთითება მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც უნდა ჩატარდეს დასახლების საერთო კრების სხდომები ან კონსულტაციები, მათი დღის წესრიგი, თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტების საორიენტაციო ჯამური თანხის ოდენობა, პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ფორმა (დასახლების საერთო კრების სხდომაზე თუ კონსულტაციის გზით), თითოეული დასახლების საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის გამართვის ჩატარების ადგილი და დრო, მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრის (წევრების) ან მერიის შესაბამისი სამსახურის შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეების საპროექტო წინადადებების მიღების ადგილების ან სხვა ფორმის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო საათები, მოსახლეობასთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საკონტაქტო მერიის უფლებამოსილი პირ(ებ)ის ვინაობა, მათი სატელეფონო ნომრები, მათი თანხმობის საფუძველზე, და ელექტრონული ფოსტის მისამართები (ნიმუში იხ. დანართი 1).

მერის ბრძანება, მისი გამოცემიდან 3 კალენდარული დღის ვადაში ქვეყნდება პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე, გამოეკვრება ამობეჭდილი სახით მერიის ადმინისტრაციულ შენობასა და ყველა დასახლებაში მდებარე საჯარო შენობებსა (მაგალითად, საბავშვო ბაღის შენობები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობები და სხვ.) და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში (მაგალითად, ბაზარი ან ტრანსპორტის გაჩერება), სადაც უნდა ჩატარდეს დასახლების საერთო კრებების სხდომები ან კონსულტაციები.

დასახლების საერთო კრების მოწვევის/კონსულტაციის თარიღებად შეიძლება განისაზღვროს მერის ბრძანების გამოცემის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე. იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება დასახლებებში საერთო კრების მოწვევის/კონსულტაციის თარიღი ან/და ადგილი, მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებაში შედის შესაბამისი ცვლილება და აღნიშნულის შესახებ, არაუგვიანეს 24 საათისა, ეცნობება დასახლების მოსახლეობას ზემოაღნიშნული ყველა შესაძლო გზით.

მნიშვნელოვანია, დასახლების საერთო კრების/კონსულტაციის ჩატარების ადგილის და დროის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ იქნას გენდერული თავისებურებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალისა და კაცის თანაბარი დასწრება და მონაწილეობა სხდომებზე.

მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ბოლო ვადასა და დასახლების საერთო კრებების სხდომებს/კონსულტაციებს შორის შუალედს სამუშაო ჯგუფი/მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახური გამოიყენებს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების რელევანტურობის შესაფასებლად და დასახვეწად, ამ წინადადებების ჩამონათვალის მოსამზადებლად, აგრეთვე, საჭიროებისას, თავად მერიის მიერ ცალკეული საპროექტო წინადადებების მოსამზადებლად.

4. მოსახლეობის ინფორმირება

დასახლების საერთო კრების მოწვევის და კონსულტაციების ჩატარების ორგანიზებას, მერის ბრძანებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ სხვა ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელებას უზრუნველყოფენ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური - მისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული და ბეჭდვითი საშუალებებით, აგრეთვე, მერის წარმომადგენლები შესაბამის დასახლებებში, საკრებულოს მაჟორიტარი წევრები - თავიანთ სარჩევნო ოლქებში და, არსებობის შემთხვევაში, დასახლების საერთო კრების რჩეულები.

მუნიციპალიტეტის მერი, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის წევრების მეშვეობით, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებას. ინფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობს მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გასავრცელებელი ინფორმაციის მინიმუმი ასეთია:

1. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და სხვა საშუალებებით[1] მოსახლეობაში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია დასახლებებში განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი საორიენტაციო ჯამური თანხის ოდენობის ფარგლებში მოქალაქეების მიერ საპროექტო წინადადებების (ნიმუში იხ. დანართი 2) მერიაში წარდგენის უფლებაზე დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების მე-2 მუხლით განსაზღვრული შემდეგი მიმართულებებით:

- სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);
- სარწყავი სისტემები;
- სანიაღვრე არხები;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- გზები და გზისპირა მოსაცდელები; აგრეთვე, ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა;
- ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
- გარე განათება;
- სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
- ამბულატორიის შენობები;
- სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
- სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;
- წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
- სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა;

[1] სახელმძღვანელოში გამოყენებულ „სხვა საშუალებებში“ იგულისხმება მუნიციპალიტეტის ფეისბუქ-გვერდი, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედია, დასახლებებში საჯარო შენობებსა (მაგალითად, მერიის ადმინისტრაციულ შენობა, საბავშვო ბაღის შენობები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობები და სხვ.) და მოსახლეობის თავშეყრის ადგლებში (მაგალითად, ბაზარი ან ტრანსპორტის გაჩერება) განცხადებების გამოკვრა, სმს-სერვისი, მოსასხლეობასთან შეხვედრები და სხვა ხელმისაწვდომი საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება.

- მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება.

2. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და სხვა საშუალებებით მოსახლეობაში უნდა გავრცელდეს დასახლების საერთო კრების/კონსულტაციების ინიცირების თაობაზე მერის ბრძანებაში მოცემული ინფორმაცია[2]. აქცენტი უნდა გაკეთდეს მოქალაქეების მიერ საპროექტო წინადადებების წარდგენის ფორმებსა და საშუალებებზე, ასევე, დასახლების საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია, გადაწყვეტილების მიღების პროცედურების განმარტების ჩათვლით. საიტიდან შესაძლებელი უნდა იყოს საპროექტო წინადადებების ფორმის (ნიმუში იხ. დანართი №2) word-ის ფაილის ფორმატში ჩამოტვირთვა.

3. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და სხვა საშუალებებით შესაბამის დასახლებებში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია დასახლების საერთო კრების სხდომებზე/კონსულტაციებზე განსახილველი საპროექტო წინადადებების შესახებ.

4. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს დასახლების საერთო კრების სხდომების/კონსულტაციების ოქმები დანართებით, დასკანერებული სახით, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს და ზემოაღნიშნული სხვა საშუალებებით შესაბამის დასახლებებში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია მერიის მიერ საკრებულოში წარსადგენად შემუშავებული პროექტების ნუსხისა და ცალკეული განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების შესაძლებლობის შესახებ მოსაზრებები.

6. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია საკრებულოს მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მიზანშეწონილია, გავრცელდეს შესაბამის დასახლებებში ზემოაღნიშნული სხვა საშუალებებითაც.

7. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ტენდერებისა და მათი შედეგების შესახებ.

8. მუნიციპალიტეტმა უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, რა ეტაპზეა პროექტის განხორციელება: მიმდინარეობს ტენდერისათვის დოკუმენტაციის მომზადება/გამოცხადდა ტენდერი/გამოვლინდა შემსრულებელი კომპანია/დაიწყო სამუშაოები, მათი დასრულების მოსალოდნელი ვადა/დასრულდა სამუშაოები. სასურველია, გავრცელებულ ინფორმაციას თან ერთვოდეს ფოტო-ვიდეო მასალა.

[2] იხ. 4.1. დასახლების საერთო კრებების ინიცირება.

9. მუნიციპალიტეტმა უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების სამუშაოების დასრულების შესახებ.

საინფორმაციო კამპანიის დროს დასახლებებში გავრცელებული მასალები უნდა იყოს მომზადებული მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე, მარტივად აღსაქმელი ლექსიკის გამოყენებით.

5. მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება

საპროექტო წინადადებების მოქალაქეებისგან მიღებას ახდენენ მოსახლეობასთან პროგრამის განხორციელებაზე მერიის უფლებამოსილი *საკონტაქტო პირები,* რომლებიც განსაზღვრული არიან მერის შესაბამისი ბრძანებით, მათ შორის ეს შესაძლებელია იყოს *მერის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი/სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები.*

წერილობითი სახით საპროექტო წინადადებების მოსახლეობისგან მიღება ხდება მერის ბრძანებით განსაზღვრულ შესაბამის სამსახურში (მაგალითად, ინფრასტრუქტურის სამსახურში) და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან.

ნებისმიერ პირს (მიუხედავად მისი რეგისტრაციის ადგილისა, მოქალაქეობისა და ა.შ.) შეუძლია გადმოიწეროს მუნიციპალიტეტის საიტიდან საპროექტო წინადადებების ფორმა (ნიმუში იხ. დანართი №2) ან მიიღოს ადგილზე მერის წარმომადგენლისაგან და ის შევსებული სახით წარადგინონ მერიაში ან საკუთარი იდეა/წინადადება ზეპირი სახით აუხსნას მერიის უფლებამოსილ პირებს (მ.შ. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს), რომლებიც დაეხმარებიან მათ ფორმის შევსებაში.

შესაძლებელია, მოქალაქემ საპროექტო წინადადების ფორმა ელექტრონულად გადააგზავნოს მერიაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან მუნიციპალიტეტის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ე.წ. „მოქალაქის პორტალიდან“ გააგზავნოს განცხადების სახით.

აგრეთვე, შესაძლებელია, მოქალაქე დაუკავშირდეს მერიის უფლებამოსილ პირს/სამსახურს კომუნიკაციის სხვა საშუალებებით (მაგ, ტელეფონით) და აუხსნას მას საკუთარი პროექტის იდეა. კომუნიკაციის შედეგად, შეთანხმების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი თავად შეავსებს საპროექტო განაცხადს და პროექტის ავტორის გრაფაში მიუთითებს იდეის ავტორის მონაცემებს.

ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები მუდმივ კომუნიკაციაში უნდა იყვნენ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან, რომელიც განიხილავს და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარებით ავტორებს უკან უბრუნებს საპროექტო წინადადებებს, მათი სრულყოფის მიზნით.

<u>მაგალითად,</u> მოქალაქემ წარადგინა საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო წინადადება, რომლის სავარაუდო ღირებულებად მითითებულია დასახლების (ან დასახლებათა ჯგუფისათვის, რომელსაც აღნიშნული საბავშვო ბაღი ემსახურება) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი საორიენტაციო თანხა. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურში განხილვის შედეგად სავარაუდოდ, შენობის მთლიანი რებილიტაცია გაცილებით მეტ თანხას მოითხოვს. ამ მიზეზის მითითებით წინადადების ავტორს ეგზავნება კომენტარი ან მასთან სატელეფონო კომუნიკაციით მოხდება შეთანხმება, რომ მოხდეს ცვლილება საპროექტო წინადადებაში და „საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციის“ ნაცვლად მიუთითოს „საბავშვო ბაღის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია“.

<u>მაგალითად,</u> მოქალაქემ წარადგინა სოფლის კონკრეტულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის საპროექტო წინადადება. მერიის სამსახურის მიერ საჯარო რეესტრის რუკაზე ტერიტორიის კუთვნილების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ტერიტორია არ ეკუთვნის მუნიციპალიტეტს (კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაშია). მუნიციპალიტეტი არკვევს, რამდენად შესაძლებელია

ტერიტორიის გადმოცემა მუნიციპალურ საკუთრებაში. თუ ეს შეუძლებელია, მუნიციპალიტეტი წინადადების ავტორს აცნობებს ამის შესახებ და სთხოვს, რომ შეარჩიოს სკვერის მოწყობისთვის სხვა ტერიტორია, რისთვისაც შეუძლია კონსულტაცია წინასწარ გაიაროს მერიის შესაბამის სამსახურში.

მერიის სამსახურში საპროექტო წინადადებების განხილვა, მათ ავტორ(ებ)თან კომუნიკაცია და, წინადადებების სრულყოფა შეიძლება გაგრძელდეს მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგ, მოსახლეობის მიერ განსახილველი საპროექტო წინადადებების საბოლოო ნუსხის შედგენამდე.

მერიის სამსახური ადგენს განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალს და უგზავნის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს, აგრეთვე - მოსახლეობის ინფორმირების პროცესში ჩართულ სხვა პირებს, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. მერის წარმომადგენლები, საკრებულოს მაჟორიტარი წევრები და საინფორმაციო კამპანიაში ჩართული სხვა პირები დასახლების საერთო კრების სხდომის მოწვევის/კონსულტაციების ჩატარების თარიღისა და განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ მოსახლეობაში, საჯარო შენობებში და მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში თვალსაჩინო ადგილას განცხადებების გამოკვრით[3].

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, რომ დასახლების საერთო კრებაზე/კონსულტაციაზე მოსვლისას მოქალაქეებმა თან იქონიონ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

მერია დასახლების საერთო კრების სხდომებსა და კონსულტაციებზე განსახილველი საპროექტო წინადადებების მთლიან ნუსხას აქვეყნებს პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

თუ მოქალაქეებისგან დასახლების საერთო კრების სხდომაზე/კონსულტაციაზე განსახილველად არც ერთი საპროექტო წინადადება არ შემოვიდა, მერიის შესაბამისი სამსახური, მოსახლეობის საჭიროებების წინასწარი შესწავლის საფუძველზე, დასახლების საერთო კრებისათვის/კონსულტაციისთვის თავად ამზადებს განსახილველ ერთ ან რამდენიმე საპროექტო წინადადებას. ასეთ შემთხვევაში საპროექტო წინადადების ავტორად (მე-5 გრაფაში) მიეთითება მუნიციპალიტეტის მერია.

[3] დასახლებებში საჯარო შენობებსა (მაგალითად, მერიის ადმინისტრაციულ შენობა, საბავშვო ბაღის შენობები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობები და სხვ.) და მოსახლეობის თავშეყრის ადგლებში (მაგალითად, ბაზარი ან ტრანსპორტის გაჩერება).

6. დასახლების საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, დასახლებაში, რომელშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს <u>არაუმეტეს 500 ამომრჩეველს,</u> პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი.

დასახლების საერთო კრების გამართვა ხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85[2]-85[5] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

დასახლების საერთო კრების სხდომის დაწყებისთანავე კრების წევრები გადიან სხდომაზე დასწრების რეგისტრაციას. სარეგისტრაციო ბლანკის (იხ. ნიმუში დანართი №4) შევსებისას ისინი მიუთითებენ საკუთარ სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის (ე.წ. „ჩაწერის“) ადგილს, სქესს, კუთვნილებას შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან, სცემენ კითხვაზე პასუხს, თვლიან თუ არა თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად და აწერენ ხელს. დასახლების საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილი მოხელე. ის წინასწარ ამზადებს და ამობეჭდავს სარეგისტრაციო ბლანკებს აღნიშნული გრაფებით. კრების წევრები თავად ავსებენ აღნიშნულ გრაფებს, საჭიროებისას მათ შევსებაში ეხმარება მერიის უფლებამოსილი მოხელე (ხემოწერის გრაფის შევსების გარდა). ასაკის, სქესის, შეზუღუდული შესაძლებლობის ჭრილში ჩაშლილი მონაცემები ხელს უწყობს თანასწორობის საკითხების გათვალისწინებას პროგრამის დაგეგმვისას და განხორციელებისას.

აღსანიშნავია, რომ სარეგისტრაციო ბლანკში შესატანი ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას, ამდენად, ბლანკზე აღნიშნულის გაზიარების შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს და შესაბამისად, პირის მიერ მისი შევსება განიხილება აღნიშნული ინფორმაციის მუნიციპალიტეტის მიერ დამუშავებაზე თანხმობად.

ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია აწარმოოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფაილური სისტემის კატალოგი[4].

კანონის მიხედვით, დასახლების საერთო კრების საქმიანობას წარმართავს (სხდომას თავმჯდომარეობს) მერიის უფლებამოსილი მოხელე, გარდა იმ დასახლების საერთო კრებისა, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული. თუ საერთო კრების რჩეული ადგილზე იმყოფება, მაშინ ის წარმართავს სხდომას, ხოლო მერიის უფლებამოსილი მოხელე მას ეხმარება და შეიძლება შეასრულოს სხდომის მდივნის ფუნქცია.

კანონის მიხედვით, დასახლების საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-სა. მერიის უფლებამოსილი მოხელე/დასახლების საერთო კრების რჩეული სარეგისტრაციო ფორმების მიხედვით ითვლის დამსწრეთა რაოდენობას და თუ ამ რაოდენობამ დასახლებაში რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობის 20%-ს გადააჭარბა, უკვე შესაძლებელია საერთო კრების სხდომის გახსნილად გამოცხადება, მომსვლელთა ნაკადის შეწყვეტისა

[4] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

და მათი რეგისტრაციის დასრულებისთანავე, ოღონდ არაუადრეს მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხდომის დაწყების დროისა.

დასახლების საერთო კრება მუშაობს წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზნებისთვის, დასახლების საერთო კრების დღის წესრიგში, მერის ბრძანების შესაბამისად, ხდება ერთი საკითხის შეტანა: *სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა.* სხდომის თავმჯდომარე დამსწრეებს აცნობს დღის წესრიგის მიხედვით განსახილველი პროექტების ჩამონათვალს.

დასახლების საერთო კრების წევრთა ინფორმირება განსახილველი საპროექტო წინადადებების თაობაზე ხდება როგორც სხდომის გამართვის წინა პერიოდში, ასევე, უშუალოდ კრების სხდომაზე: საპროექტო წინადადებების ყველა ავტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ეძლევა არაუმეტეს 10 წუთი თავისი ინიციატივის კრების მონაწილეთათვის გაცნობისათვის, რის შემდეგაც აზრის გამოთქმა შეუძლია სხდომაზე ნებისმიერ დამსწრეს, რისთვისაც თითოეულს ეძლევა არაუმეტეს 2 წუთი.

თუ მსჯელობისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ შესაძლებელია ჩამონათვალში არსებული ორი ან მეტი საპროექტო წინადადების ერთ წინადადებად ტრანსფორმირება, ან გაჩნდა ახალი საპროექტო წინადადების იდეა, შესაძლებელია კრების სხდომის მსვლელობისას ადგილზე შევსებულ იქნეს ახალი საპროექტო წინადადების ფორმა და შევიდეს ცვლილებები საპროექტო წინადადებების ჩამონათვალში. ჩამონათვალში ცვლილების შეტანის საკითხს სხდომის თავმჯდომარე აყენებს კენჭისყრაზე და მას ხელის აწევით მხარი უნდა დაუჭიროს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ[5]. აღნიშნული საპროექტო იდეის ავტორად მიეთითება შესაბამისი დასახლების საერთო კრება.

როდესაც დასრულდება ყველა საპროექტო წინადადების განხილვა, ხდება ღია კენჭისყრის ჩატარება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევის მიზნით. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ დასახლების საერთო კრების სხდომაზე დამსწრე დასახლების საერთო კრების წევრები.

კანონის მიხედვით, დასახლების საერთო კრების წევრებად ითვლება დასახლებაში რეგისტრირებული ყველა ამომრჩეველი.

დასახლების საერთო კრების სხდომაზე დამსწრე წევრებს სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს, რომ ყველა საპროექტო წინადადებას კენჭი ეყრება ცალ–ცალკე, ჩამონათვალში მოცემული რიგითობის მიხედვით, ხოლო *<u>დასახლების საერთო კრების წევრებს უფლება აქვთ, ხელის აწევით გამოხატონ თავისი მხარდაჭერა ერთი ან რამდენიმე საპროექტო წინადადების მიმართ.</u>*[6] მერიის უფლებამოსილი მოხელე ითვლის და ინიშნავს თითოეული საპროექტო წინადადების მიერ მიღებული ხმების რაოდენობას.

---

[5] განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანა არ ითვლება სხდომის დღის წესრიგის ცვლილებად.

[6] სარეიტინგო კენჭისყრის ფორმით გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია იმის გამო, რომ გამოირიცხოს კენჭისყრისას პირველად დასახელებული საპროექტო წინადადებისათვის ხმის მიცემაში უპირატესობა, რაც დამახასიათებელია პირდაპირი დემოკრატიის ამ ფორმისათვის.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ დასახლების საერთო კრების სხდომის თავმჯდომარე აცხადებს დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომ *სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შერჩეულ იქნა საპროექტო წინადადება, რომელმაც კენჭისყრისის დროს ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხოლო სხვა საპროექტო წინადადებები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში პირველ ადგილზე გასული წინადადების განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები აღმოჩნდა.*

7. კონსულტაციის გზით საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები

- დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს პროექტი შეირჩევა რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100-მა ამომრჩეველმა;
- დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200-მა ამომრჩეველმა.

კონსულტაციის ჩატარებას და პროექტის შერჩევის პროცედურებს უძღვება მერიის უფლებამოსილი მოხელე.

ისეთ დასახლებებში, სადაც არსებობს კონსულტაციაზე დამსწრეთა საპროგნოზო რაოდენობის ერთ შენობაში/სივრცეში შეკრების ჩატარების შესაძლებლობა, კონსულტაცია გაიმართება ამ სახელმძღვანელოს მე-6 თავში აღწერილი პროცედურების ანალოგიურად და საპროექტო წინადადებების შერჩევა მოხდება ღია კენჭისყრით, კონსულტაციის დამსწრე ამომრჩევლების მიერ.

ისეთ დასახლებებში, სადაც არ არსებობს კონსულტაციაზე დამსწრეთა საპროგნოზო რაოდენობის ერთ შენობაში/სივრცეში შეკრების ჩატარების შესაძლებლობა, მიზანშეწონილია, საპროექტო წინადადებების შერჩევის გადაწყვეტილების მიღება *ფარული კენჭისყრით.*

ასეთ შემთხვევაში, დასახლებაში მცხოვრებ ამომრჩევლებთან კონსულტაციის მიზნით ხდება მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება შესარჩევი პროექტებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით გასამართი კენჭისყრის ადგილისა და დროის შუალედის თაობაზე. მოსახლეობის ინფორმირებას ახდენენ როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე, თავად საპროექტო წინადადებების ავტორები და მათი იდეის მხარდამჭერები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას მათ მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადებების შესახებ სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა წინასწარი შეხვედრები მოქალაქეებთან, საპროექტო წინადადების შინაარსის შესახებ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელებით, ადგილობრივი მედიით, ბეჭდური მასალის დარიგებით და თვალსაჩინო ადგილებზე გამოკვრით და მისთ.

დასახლების მცხოვრებთა ინფორმირება განსახილველი საპროექტო წინადადებების თაობაზე ხდება ასევე უშუალოდ კენჭისყრის წინ: *ამომრჩევლებს ეძლევათ წინადადება, გადაწყვეტილების მიღებამდე გაეცნონ წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს ვიზუალურად, რისთვისაც შენობაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს ამობეჭდილი საპროექტო წინადადებების შინაარსი, გაესაუბრონ საპროექტო წინადადებების ავტორებს.*

კენჭისყრის დღემდე საპროექტო წინადადების ავტორებს მერიის უფლებამოსილი მოხელე ტელეფონით უკავშირდება და სთავაზობს, რომ თავად ავტორი ან მისი ერთი წარმომადგენელი ან მხარდაჭერი დაესწროს კონსულტაციის მიზნით ჩასატარებელ კენჭისყრის პროცედურებს, მათი დაწყებიდან ხმების დათვლის პროცედურის ჩათვლით.

კონსულტაციის მიზნით კენჭისყრის ჩასატარებლად შენობა იხსნება მერის ბრძანებაში მითითებულ დროს, მერიის უფლებამოსილი მოხელე კონსულტაციაზე მოსული პირველი

ამომრჩევლ(ებ)ის თანდასწრებით ლუქავს გამჭვირვალე ყუთს წებოვანი ქაღალდის ლენტით ან სხვაგვარად ისე, რომ გამორიცხული იყოს მისი გახსნა ლენტის დაუზიანებლად.

დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლები მოდიან კენჭისყრის შენობაში მათთვის სასურველ დროს, კენჭისყრისთვის წინასწარ გაცხადებული დროის პერიოდში, გადიან რეგისტრაციას, რისთვისაც სარეგისტრაციო ბლანკის შევსებისას მიუთითებენ საკუთარ სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერს, რეგისტრაციის ადგილს, სქესს, კუთვნილებას ასაკობრივ ჯგუფთან და პასუხობენ კითხვას თვლიან თუ არა თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად (იხ. ნიმუში დანართი №4) და აწერენ ხელს. სარეგისტრაციო ბლანკებს აღნიშნული გრაფებით წინასწარ ამზადებს და ამობეჭდავს მერიის უფლებამოსილი მოხელე. კონსულტაციის მონაწილეები თავად ავსებენ აღნიშნულ გრაფებს, საჭიროებისას მათ შევსებაში ეხმარება მერიის უფლებამოსილი მოხელე (ხემოწერის გარდა).

რეგისტრაციის შემდეგ მოქალაქეს ეძლევა A4 ფორმატის ქაღალდზე ამობეჭდილი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალი, რომელიც მას შეაქვს ფარული კენჭისყრისთვის გამოყოფილ ადგილას/კაბინაში. *ამომრჩეველი <u>საპროექტო წინადადების ნომრის შემოხაზვით (ან სხვა ფორმით) აფიქსირებს თავის მხარდაჭერას ჩამონათვალში არსებული ერთი ან რამდენიმე საპროექტო წინადადებისადმი.</u>* ამის შემდეგ ის კეცავს ფურცელს ისე, რომ საპროექტო წინადადებების ჩამონათვალი შიგნით მოექცეს.

მნიშვნელოვანია, რომ ფარული კენჭისყრისთვის გამოყოფილ ადგილას/კაბინაში უზუნველყოფილი იყოს ხმის მიცემის პროცესის ფარულობა და იქ არ იმოფებოდეს ერთზე მეტი მოქალაქე, ხოლო შშმ პირისათვის დახმარების საჭიროებისას მას ეხმარება მერიის უფლებამოსილი მოხელე.

ფარული კენჭისყრისთვის გამოყოფილ ადგილიდან/კაბინიდან გამოსვლის შემდეგ მოქალაქე მიდის გამჭვირვალე ყუთთან და მასში საპროექტო წინადადებების ჩამონათვლიანი ფურცლის ჩაგდებამდე უწვდის დაკეცილ ფურცელს მერიის უფლებამოსილ მოხელეს, რომელიც გარედან აწერს ხელს. იმ შემთხვევაში, თუ აქვს ბეჭედი/შტამპი, ასვამს ფურცელზე საამისოდ განკუთვნილ ბეჭედს ან შტამპს ისე, რომ მოქალაქეს არ სთხოვს ფურცლის გაშლას ან სხვაგვარად არ ეცნობა მის გადაწყვეტილებას.

ყუთიდან ფურცლების ამოღების შემდეგ ბათილად ჩაითვლება ის ფურცლები, რომლებსაც უკანა მხრიდან არ ექნებათ მერიის უფლებამოსილი მოხელის ხელმოწერა.

მერიის უფლებამოსილმა მოხელემ საპროექტო წინადადებების ჩამონათვალიანი ფურცლის დასამოწმებლად შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ბეჭედი ან ნებისმიერი სხვა ბეჭედი/შტამპი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც მიიჩნევს მიზანშეწონილად. ბეჭდის/შტამპის არარსებობის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მის ნაცვლად მერიის უფლებამოსილი მოხელე იყენებს საკუთარ ხელმოწერას.

კენჭისყრის პროცედურის დროის გასვლის შემდეგ მერიის უფლებამოსილი მოხელე დათვლის სარეგისტრაციო ბლანკებში დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას და აღნიშნავს კონსულტაციის ოქმში.

ამის შემდეგ მერიის უფლებამოსილმი მოხელე ხსნის გამჭვირვალე ყუთს, გადმოყრის მაგიდაზე მასში არსებულ ფურცლებს, სათითაოდ შეამოწმებს მათ უკანა მხარეს ხელმოწერის ან ბეჭდის/ხელმოწერის არსებობას და თუ მასზე ხელმოწერა არ აღმოჩნდა, ასეთ ფურცელს ბათილად მიიჩნევს, ცალკე გადადებს და არ გაითვალისწინებს შედეგების შეჯამებისას. შემდეგ დათვლის თითოეული საპროექტო წინადადების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობას, შეიტანს მონაცემებს კონსულტაციის ოქმში და დამსწრეებს გამოუცხადებს კენჭისყრის შედეგებს.

კენჭისყრის პროცედურა ტარდება ღიად, შენობაში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება თავისუფლად დააკვირდეს მერიის უფლებამოსილი მოხელის მიერ თვლის და ოქმის შევსების პროცესს ისე, რომ მას არ შეუშალოს ხელი.

8. დასახლების საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება

დასახლების საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის ჩატარება და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით. კანონის 85[5] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ოქმში მითითებული უნდა იყოს დასახლების საერთო კრების/კონსულტაციის გამართვის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, სხდომაზე დამსწრე დასახლების საერთო კრების წევრთა/კონსულტაციაში მონაწილეთა რაოდენობა, დამსწრე ქალისა და კაცის, აგრეთვე შშმ პირთა რაოდენობა და მონაწილეთა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში კუთვნილების ჯამური რაოდენობა, განხილული საკითხი, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება (ნიმუში იხ. დანართი №3), ოქმს თან ერთვის დასახლების საერთო კრების სხდომაზე/კონსულტაციაზე დამსწრეთა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები.

ოქმის შედგენას უზრუნველყოფს და მას ხელმოწერით ადასტურებს მერიის უფლებამოსილი მოხელე. დასახლების საერთო კრების რჩეულის არსებობის შემთხვევაში, ოქმს ხელს აგრეთვე აწერს დასახლების საერთო კრების რჩეულიც (ადგილზე ყოფნის შემთხვევაში).

კონსულტაციის დროს საპროექტო წინადადებების ფარული კენჭისყრით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მერიის უფლებამოსილი მოხელის გარდა დასახლების საერთო კრების ოქმს ხელს დამატებით აწერენ ის პირები, რომლებიც აკვირდებოდნენ კენჭისყრის პროცედურებს. ასეთები შეიძლება იყვნენ *<u>დამკვირვებლები:</u>* პროექტების ავტორები ან მათი წარმომადგენლები/მხარდამჭერები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და დაინტერესებული მოქალაქეები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, დააკვირდნენ კენჭისყრის პროცედურებს, მათი გამართვის რომელიმე ეტაპზე და ამას დაადასტურებენ საერთო კრების სხდომის ოქმზე ხელმოწერით.

ოქმის ხელმოწერის შემდეგ ადგილზე მყოფ ყველა მსურველს ეძლევა მისი ფოტოგადაღების შესაძლებლობა და (ტექნიკური შესაძლებლობის შემთხვევაში) ოქმის ქსეროასლი გამოეკვრება თვალსაჩინო ადგილას.

დასახლების საერთო კრების/კონსულტაციის ოქმის (დანართებთან ერთად) მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილი მოხელე დასახლების საერთო კრების/კონსულტაციის გამართვიდან 3 დღის ვადაში. დასკანერებული სახით ოქმი ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში. ოქმები (დანართებით) ინახება მუნიციპალიტეტის მერიაში.

9. ერთობლივი საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურის თავისებურებები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რამდენიმე დასახლებისათვის გამოყოფილი ფინანსების კონსოლიდირება (გაერთიანება) ერთი პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ყველა ამ დასახლების საერთო კრებამ/კონსულტაციაში მონაწილე მოსახლეობამ დაუჭირა მხარი ასეთი ერთობლივი საპროექტო წინადადების განხორციელებას.

დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და პროცედურების 1-ლი მუხლის 11[1] პუნქტის მიხედვით, შესაბამისი დასახლებების საერთო კრებების მიერ ან რეგისტრირებულ ამომრჩეველთან გამართული კონსულტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შესაძლებელია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამ დასახლებებისთვის გამოყოფილი თანხა, მათი საერთო საჭიროებებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნეს საერთო პროექტის დასაფინანსებლად.

საპროექტო წინადადება, რომელიც მიმართულია რამდენიმე დასახლებისათვის საერთო პრობლემური საკითხის გადაწყვეტაზე, ხოლო მისი სავარაუდო ღირებულება აღემატება თითოეული ამ დასახლებისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი საორიენტაციო თანხების ოდენობა (მაგრამ არ აღემატება მათ ჯამურ ოდენობას), განიხილება როგორც **ერთობლივი საპროექტო წინადადება** და შეიტანება ყველა ამ დასახლების საერთო კრების მიერ/ კონსულტაციაზე განსახილველ პროექტთა ჩამონათვალში.

ერთობლივი საპროექტო წინადადების განაცხადის ფორმის პირველ გრაფაში უნდა მიეთითოს ყველა იმ დასახლების სახელწოდება, რომელთა დასახლების საერთო კრებებზე/კონსულტაციებზე უნდა მოხდეს აღნიშნული საპროექტო წინადადების განხილვა.

მაგალითად, ერთმანეთის სიახლოვეს მდებარე A, B და C დასახლებების მოსახლეობას ემსახურება A დასახლებაში მდებარე საბავშვო ბაღი. ის საჭიროებს რეაბილიტაციას, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 20000 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით A დასახლებისათვის პროექტის საორიენტაციო თანხაა 10000 ლარი, B დასახლებისათვის - 6000 ლარი და C დასახლებისათვის - 5000 ლარი, რაც ჯამში 21000 ლარს შეადგენს. ერთობლივი საპროექტო წინადადება "A დასახლებაში მდებარე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია" შეიტანება სამივე სოფლის საპროექტო წინადადებების ჩამონათვალში. ასეთი პროექტის განხორციელება მოხდება, თუ სამივე დასახლების მოსახლეობამ მიიღო გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ.

თუ ერთობლივი საპროექტო წინადადების განხილვისას რომელიმე ერთი დასახლების მოსახლეობამ მას მხარი არ დაუჭირა, ასეთი პროექტი ვერ განხორციელდება, ხოლო იმ დასახლებებში, სადაც ის იქნა მხარდაჭერილი, მის ნაცვლად განხორციელდება ხმების რაოდენობით მეორე ადგილზე გასული პროექტები. ამგვარ გადაწყვეტილების საშუალებას იძლევა საერთო კრების გადაწყვეტილების შემდეგი ფორმულირება: *„... სხვა საპროექტო წინადადებები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში პირველ ადგილზე გასული წინადადების განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები აღმოჩნდა",* ანუ ერთობლივი პროექტის განხორციელების თაობაზე რომელიმე სხვა საერთო კრებაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება განიხილება ამ დასახლებაში პირველ ადგილზე გასული პროექტის „ხელისშემშლელ გარემოებად".

ზემოთ მოყვანილ მაგალითში თუ პროექტს “A დასახლებაში მდებარე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია“ მხარი დაუჭირა A და B დასახლებების საერთო კრებებმა, ხოლო C დასახლების საერთო კრებამ არ დაუჭირა მხარი, მაშინ C დასახლებაში განხორციელდება კენჭისყრის შედეგებით 1-ლ ადგილზე გასული პროექტი, ხოლი A და B დასახლებებში განხორციელდება კენჭისყრის შედეგებით მე-2 ადგილებზე გასული პროექტები.

ერთობლივი პროექტის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი პროექტის, ან მისი ნაწილის განსახორციელებლად საკმარისი იქნება იმ დასახლებებისთვის ჯამურად გამოყოფილი საორიენტაციო თანხა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ერთობლივი საპროექტო წინადადების განხორციელებას, ან მუნიციპალიტეტმა საამისოდ გამოყო საჭირო თანხა თანადაფინანსების სახით.

ერთობლივი საპროექტო წინადადებების მოდიფიკაციაზე ან/და თანადაფინასნების გამოყოფაზე წინადადებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართავს მუნიციპალიტეტის მერი. მუნიციპალიტეტის ამგვარი გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს როგორც პროექტის ავტორ(ებ)ს, ასევე იმ დასახლებების მოსახლეობას, რომლებსაც ეხება პროექტი და პროაქტიულად გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის საიტზე.

ზემოაღნიშნულ მაგალითში, შესაძლებელია, მოხდეს საპროექტო წინადადების მოდიფიკაცია და განხორციელდეს საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია A და B დასახლებების საორიენტაციო 10 000 + 6 000 = 16 000 ლარით, ან მუნიციპალიტეტმა დამატებით გამოყოს თანადაფინანსება 4000 ლარის ოდენობით და განახორციელოს 20000 ლარის ღირებულების პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირეს A და B დასახლებების საერთო კრებებმა.

10. პროექტების დამტკიცება საკრებულოს მიერ

დასახლების საერთო კრებების მიერ/კონსულტაციის შედეგად საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამსახური/სამუშაო ჯგუფი ადგენს დასახლებების მიხედვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის პროექტს, თითოეულის სავარაუდო ღირებულების მითითებით.

თუ ცალკეული პროექტების სავარაუდო ღირებულება, საპროექტო წინადადების უფრო დეტალურად განხილვისა და შეფასების შემდეგ, მეტი აღმოჩნდა დასახლებისთვის (ერთობლივი პროექტების შემთხვევაში - დასახლებათა ჯგუფისთვის) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ოდენობაზე, (აგრეთვე, სახელმძღვანელოს მე-9 თავში განხილული ერთობლივი პროექტების შემთხვევებში), მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური/სამუშაო ჯგუფი განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ასეთი პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობას, ასევე, საერთაშორისო ან/და დონორი ორგანიზაციების მიერ ან საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით. თუ ასეთი საშუალება ვერ გამოინახა, დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში ასეთი პროექტის ნაცვლად შესაძლებელია იმ საპროექტო წინადადების გათვალისწინება, რომელსაც დასახლების საერთო კრების/კონსულტაციის გადაწყვეტილებით სხვებზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს (მომდევნოა კენჭისყის შედეგებით). ყველა ასეთი შემთხვევის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ და ეცნობება როგორც საპროექტო წინადადებების ავტორებს, ასევე, მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტს (პროექტების თანდართული ნუსხით, მათი სავარაუდო ღირებულების მითითებით) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტს, რომლითაც უნდა აისახოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისატვის გამოყოფილი ფინანსები.

მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და განკარგულებით ამტკიცებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების დადგენილებას, რისთვისაც ხდება საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, თუ მათი განხილვა არ ესწრება საკრებულოს მორიგ სხდომაზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის კალენდრით (იხ. სახელმძღვანელოს მე-12 თავი) მითითებულ ვადებში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა და საკრებულოს განკარგულება ამ ნუსხის დამტკიცების თაობაზე წარედგინება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამისი პროცედურების გასავლელად და ქვეყნდება საჯაროდ.

დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 1-ლი მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის განაწილება სრულად ვერ მოხდა 1 მაისამდე, დარჩენილი თანხა დაუბრუნდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს.

დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 1-ლი მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, გამონაკლისია „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის № 671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შემავალი დასახლებები, რომლებისთვისაც ეს ვადა განისაზღვრება 1 ივნისამდე პერიოდით.

დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების იმავე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, ფონდში აგრეთვე დაბრუნდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომიები (მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი შესყიდვების განხორციელების შემდეგ), რომელიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიძლება, განაწილდეს იმავე მუნიციპალიტეტში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტ(ებ)ის განსახორციელებლად შესაბამისი მომსახურების ან/და სამუშაოების შესასყიდად.

11. შესყიდვები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყდვის ფორმების გამოყენების გზით. ასევე, უფლებამოსილი ორგანოების მიერ შესაბამისი გადაყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნულ შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეული ფასის მიხედვით. შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ გავრცელდება მუნიციპალიტეტის მიერ იმ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 60 000 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 60 000 ლარს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების მიხედვით.

12. მონიტორინგი

დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების მე-5 მუხლის მიხედვით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების მიმდინარეობისა და შესრულების საერთო კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტებიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და საჭიროებისამებრ, ადგილზე მიმდინარეობის შემოწმების მეშვეობით.

სამინისტროს გარდა, მონიტორინგის პროცესში ჩართული არის სახელწიფო რწმუნებული, აგრეთვე, შესაძლებელია ჩაერთოს ცენტრალური და ადგილობრივი მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები.

მუნიციპალიტეტი ვადებულია, პროცესი წარმართოს ღიად და საჯაროდ, დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადებში გასცეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის და მიმდინარეობის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პერსონალური და კომერციული საიდუმლოების გარდა).

მუნიციპალიტეტმა უნდა წაახალისოს მოქალაქეები, ადგილობრივი მედია და არასამთავრობო სექტორი, დააკვირდნენ და გააშუქონ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პროცესის ყველა ეტაპი, განსაკუთრებით - დასახლების საერთო კრების/კონსულტაციების ჩატარება, მ.შ. მოქალაქეების მიერ დასახლების საერთო კრების/კონსულტაციების ვიდეოგადაღებისა და სოციალურ ქსელებში ლაივ-სტრიმით პირდაპირი ჩართვების სახით, რაც გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას და მოსახლეობის ნდობას ადგილობრივი ხელისუფლებს მიმართ.

13. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ვადები

მოსახლეობის ინფორმირება და დასახლების საერთო კრების სხდომების/ კონსულტაციების მომზადება	
2-3 კვირა	დასახლების საერთო კრების სხდომების/კონსულტაციების ინიცირება და მომზადება, საინფორმაციო კამპანიის დაწყება, მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება და განსახილველი პროექტების ჩამონათვალის მომზადება

დასახლების საერთო კრების სხდომების/კონსულტაციების ჩატარება	
4-6 კვირა	დასახლების საერთო კრების სხდომების/კონსულტაციების ჩატარება, განსახორციელებელი პროექტების ნუსხის მომზადების დაწყება

მერიასა და საკრებულოში პროექტების ნუსხის მომზადება, განხილვა და დამტკიცება	
4 კვირა	საკრებულოსთვის ნუსხის პროექტის მომზადება, საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება

ტენდერები განსახორციელებელ პროექტებზე	
4-6 კვირა	შესყიდვების განხორციელება შემსრულებელ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება

დანართი 1

_____მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება №___

_____ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

ქ._____ „___“_____“ 202_ წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რესგიტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 202- წლის ---- ჩათვლით. აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის გზით შემდეგ მისამართზე: ------
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.
6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

_____ _____, მობილურის N_____, ელ.ფოსტა:_____

_____ _____, მობილურის N_____, ელ.ფოსტა:_____

ბრძანების დანართი №1

№	დასახლების სახელწოდება	დასახლების საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
			დასახლების საერთო კრების სხდომა	
			კონსულტაცია	

საპროექტო წინადადებების ფორმა

1. დასახლებ(ებ)ის სახელწოდება, სადაც უნდა მოხდეს საპროექტო წინადადების განხილვა			
2. საპროექტო წინადადების სათაური			
3. საჭიროება/პრობლემა, რომლის გადაჭრას ითვალისწინებს საპროექტო წინადადება			
4. საპროექტო წინადადების მოკლე შინაარსი			
5. პროექტის ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	ელფოსტის მისამართი

_____ მუნიციპალიტეტი

_____ -ს დასახლების საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის

(დასახლების სახელწოდება)

ოქმი N

„_____“ _____ 202- წელი _____

(დასახლების სახელწოდება)

ესწრებოდნენ: დასახლებაში რეგისტრირებული _____ ამომრჩევლიდან _____ ამომრჩეველი, მათ შორის _____ ქალი და _____ კაცი. დამსწრე ამომრჩევლიდან ---- შშმ პირი, მათ შორის შშმ ქალი --- , შშმ კაცი --- .

დამსწრე ამომრჩევლების ასაკობრივი გადანაწილები შემდეგი იყო:
18-25 წელი ---- ამომრჩეველი
25–60 წელი ---- ამომრჩეველი
60+ ----- ამომრჩეველი

დღის წესრიგი:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა.

სხდომის თავმჯდომარე:_____

(სახელი და გვარი)

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შემოსული საპროექტო წინადადებები.
   დისკუსიის დროს, ქალების მიერ განსაკუთრებით მხარდაჭერილ იქნა ---------- პროექტი.
   დისკუსიის დროს, შშმ პირების მიერ განსაკუთრებით მხარდაჭერილ იქნა ---------- პროექტი.
   დისკუსიის შემდეგ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით გაიმართა _____ კენჭისყრა.
   (ღია თუ ფარული - ჩაიწეროს)
   კენჭისყრის შედეგები:

№	საპროექტო წინადადების სახელწოდება	მიღებული ხმების რაოდენობა

დაადგინეს: *საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებაში განსახორციელებლად შერჩეულ იქნა №____ საპროექტო წინადადებ(ებ)ა, ხოლო სხვა საპროექტო წინადადებები განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში აღნიშნული წინადადების განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები აღმოჩნდა.*

სხდომის თავმჯდომარე: _____

(ხელმოწერა)

დამკვირვებლები:

_____ _____ _____ _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა)

_____ _____ _____ _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელომწერა)

_____ _____ _____ _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა)

დანართი 4

_____ მუნიციპალიტეტი

_____ -ს დასახლების საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის

(დასახლების სახელწოდება)

სარეგისტრაციო ბლანკი

№	სახელი და გვარი	საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი	დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი)	სქესი	რეგისტრაციის ადგილი	ასაკი			თვლიან თუ არა თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად? (კი/არა)	ხელმოწერა
						18– 25	25–60	60+		
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										

სარეგისტრაციო ბლანკის შევსება და ხელმოწერა გულისხმობს თანხმობას პერსონალური ინფორმაციის მუნიციპალიტეტისთვის გაზიარების და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზნებისთვის მისი დამუშავების შესახებ.